კიდევ ერთხელ და მერამდენედ

თბილისი. ვ. ი.ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 2 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – ასკ (როსტოვი) 2:1.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, მიქაბერიძე, მახარაძე, ჩქარეული, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, მესხი.

ასკ: სკოტარენკო, შულაევი, ანდრიუშჩენკო, მინიბაევი, კირეევი, კლიუჩნიკოვი, აგაშკოვი, ანდრეევი, ერიომენკო, შერბაკი, ზეიბერლინში.

მე–6 წთ. ანდრეევი, 53–ე წთ. ჩივაძე, 90–ე წთ. მესხი.

46–ე წთ. ჩქარეულის ნაცვლად – შენგელია.

მსაჯი: ალექსანდრ კირილოვი (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 16:6 (8:3), ზუსტი დარტყმა – 10:3 (3:2), საჯარიმო მოედნიდან – 11:3 (5:1).

კუთხური – 11:4 (5:2).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 7 (4), როსტოველები – 13 (8).

დუბლიორები – 4:0. გოლები გაიტანეს ელოევმა, ჟორჟიკაშვილმა (პენალტით), გურულმა და ცხოვრებაშვილმა.

თუ რამით “გაამდიდრა” წლევანდელმა ჩემპიონატმა საკლუბო ფეხბურთი, უწინარეს ყოვლისა, საკმაოდ ხანგრძლივი “ტაიმ–აუტებით: აკინძული გათამაშების კალენდრით. გაზაფხულიდან მოყოლებული ორკვირიანმა და სამკვირიანმა იძულებითმა შესვენებებმა საფეხბურთო რიტმიდან ამოაგდო ფეხბურთელებიცა და თვითონ ფეხბურთიც. გუნდები ის–ის იყო გემოს გაუგებდნენ თამაშს და ცხადდებოდა “დიდი დასვენება”, რომლის შემდეგ ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები. უთუოდ ამის გამოა, რომ ფუჭი გამოდგა მილიონობით გულშემატკივრის მოლოდინი შემოდგომაზე, ჩვენი ფეხბურთის სიმწიფის პერიოდში მაინც ეხილა ნამდვილი თამაში.

რა თქმა უნდა, ყველაფრის კალენდარზე გადაბრალება მართებული არ იქნებოდა, მაგრამ თუნდაც გუშინდელ მატჩს მეტოქეთა საფეხბურთო კლასის გაუთვალისწინებლადაც კი საკმაოდ აჩნდა აწეწილ–დაწეწილი სპორტული ცხოვრების კვალი. ამდენი შეცდომა და უზუსტობა გადაცემებში, დარტყმებში, მეტისმეტად მკაცრნი თუ არ ვიქნებით, მხოლოდ საგაზაფხულო მატჩების თანამდევი უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, კარგ პირობებში იყვნენ წლეულს გუნდები თუ არა, სიტუაცია ყველასთვის ერთნაირი იყო და ნებისმიერ მატჩშიც უფრო ძლიერი იმარჯვებდა. გუშინ თბილისელებმა ნამდვილად აჯობეს სტუმრებს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. მასპინძლებს ყველა საფეხბურთო პუნქტში უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ. უფრო ზუსტად კი – აშკარად მოუგეს მეტოქეს კარში დარტყმების რაოდენობითაც, სიზუსტითაც, კუთხურებითაც და უფრო კორექტული თამაშითაც.

შეხვედრის მე–6 წუთზე როსტოველთა სწრაფი კომბინაცია ანდრეევის ზუსტი დარტყმით და გოლით დასრულდა.

ცოტა არ იყოს, მოულოდნელი დასაწყისის შემდეგ “დინამო” შეტევაზე გადადის. სტუმართა ის კომბინაცია კი ტაიმში პირველი და უკანასკნელი გამოდგა. წუთის შემდეგ მესხი გაექცა თავის მეურვეს და ბურთი კარის გასწვრივ ჩააწოდა. გუცაევმა ოდნავ

დააგვიანა. მე–17, მე–18 და მე–20 წუთებზე სტუმართა კარი ბეწვზე გადარჩა. “დინამო” ძირითადად მარცხენა ფლანგიდან უტევს – აქ მართლაც შესანიშნავად თამაშობს მესხი.

ზევით, როცა შეცდომები და უზუსტობანი ვახსენეთ, ისეთსაც ვგულისხმობდით, 30–ე წუთზე რომ მოუვიდათ თბილისელებს. მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა თავის ფლანგზე მესხმა – წამით შეჩერდა და… (როგორ ჰგავდა ამ დროს სახელოვან მამას!) თვალის დახამხამებაში უკან მოიტოვა რამდენიმე მცველი. ჩაწოდება. სამწუხაროდ, თითქმის კარის ხაზზე მდგომმა გუცაევმა და ჭედიამ გოლით ვერ დაასრულეს ეს საინტერესო იერიში.

მეორე ტაიმში სტუმრებმა ყველა ღონე იხმარეს და, ასე თუ ისე, მოახერხეს დაცვის მარჯვენა ფლანგის ბლოკირება. სანაცვლოდ შედარებით გააქტიურდნენ გუცაევი და ცაავა. სწორედ მათ კომბინაციას მოჰყვა პენალტი, რომელიც ოსტატურად გამოიყენა ჩივაძემ – 1:1.

მეორე ორმოცდახუთი წუთის მანძილზეც როსტოველი არმიელები ძირითადად მაინც კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, თუმცა ერთხელ, 65–ე წუთზე, კვლავ მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა. ანდრეევმა (იგი კლიუჩნიკოვთან ერთად ალბათ საუკეთესო იყო სტუმართაგან) რამდენიმე თბილისელი მოატყუა და ძლიერად დაარტყა. ბურთს სულაქველიძემ გადაუღობა გზა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ თენგიზ სულაქველიძემ, კიდევ ერთხელ და მერამდენედ, საოცარი თავგანწირვით ითამაშა მთელი მატჩი. უთუოდ სასიამოვნოა, რომ მისი ეს თვისება გადამდები აღმოჩნდა ახალგაზრდა ფეხბურთელის – კეტაშვილისთვის.

შეხვედრის მიწურულს ხშირად სცოდავდა ორივე მეტოქე, კომბინაციები საჯარიმოს მისადგომებთან წყდებოდა. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ თამაში, ასე თუ ისე, გათანაბრდა, მასპინძლებმა მაინც იძალეს – სწრაფი კონტრიერიში მესხმა მეორე გოლად და გამარჯვებად აქცია.

ირაკლი ბერიაშვილი.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

გივი ჩოხელი, თბილისის “დინამოს” გუნდის უფროსი: “მატჩის დებიუტი ჩვენთვის მეტად არასახარბიელო გამოდგა – მე–6 წუთზე გაშვებულმა ბურთმა იძულებული გაგვხადა მხოლოდ შეტევაზე გვეფიქრა. პირველ ტაიმში როსტოველთა კართან საკმარისად შეიქმნა სახიფათო მომენტები, გოლი კი ვერ იქნა და ვერ გავიტანეთ. ასე რომ, შესვენებაზე ფსიქოლოგიურად დამძიმებულნი წავედით. მეორე ტაიმის დასაწყისი კი უკვე ჩვენთვის აღმოჩნდა იღბლიანი, თუმცა არმიელებმა მერეც საკმაო ჯაფა დააყენეს “დინამოს” მცველებს. საერთოდ, ჩვენი გუშინდელი მეტოქე მომეწონა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა, მან მაინც აგრესიული, შემტევი ფეხბურთი უჩვენა მაყურებელს. რაც შეეხება დინამოელებს, ზოგიერთმა მათგანმა სრული ძალით ვერ ითამაშა. გუნდს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი, რომელთაგან ზოგიერთის გადაჭრას მიმდინარე ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში უნდა შევეცადოთ”.

ალექსეი ესკოვი, როსტოვის ასკ–ის მწვრთნელი: “გულშემატკივრებს ალბათ აინტერესებთ, რატომ მოხდა, რომ როსტოველებმა პირველი წრე მეორეზე

გაცილებით ძლიერად ჩაატარეს. ჩემი აზრით, ეს აშკარა რეგრესი აიხსნება იმით, რომ სეზონის დასაწყისში თავიანთ რეალურ შესაძლებლობებს გადააჭარბეს II ლიგიდან მოწვეულმა ფეხბურთელებმა, რომლებიც ცდილობდნენ ძირითად შემადგენლობაში დაემკვიდრებინათ ადგილი. მაგრამ ცარიელ ენთუზიაზმზე დიდხანს ვერ ითამაშებ, ოსტატობა კი ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს ჯერჯერობით აშკარად აკლიათ. შეგვაწუხა მოთამაშეთა ტრავმებმაც. თბილისელებთან შეხვედრაში გვაკლდა ორი ძირითადი თავდამსხმელი ვორობიოვი და ნიკიტინი, რომელთა არყოფნამ იძულებული გაგვხადა ფაქტიურად ერთი ფორვარდით გვეთამაშა. არადა, ჩვენი დევიზი შეტევაა და სწორედ თავდასხმის ხაზია ჩვენი გუნდის უძლიერესი რგოლი. “დინამოსა” და ასკ–ის შეხვედრამ ვფიქრობ, სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს. მართალია, ორივე გუნდის მოთამაშეები საკმაოდ ხშირად ცდებოდნენ, მაგრამ შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული. მთავარია, რომ მეტოქეებმა ძალა არ დაიშურეს წარმატების მოსაპოვებლად და 90 წუთის მანძილზე თავგამოდებით იბრძოდნენ გამარჯვებისთვის”.

“ლელო”, 3 ნოემბერი, 1984 წ.